


„დროების“ რედაქცია—სახსნის ქუჩაზე, დ. სა-
ხსნის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაქების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის აღარესი: Тифлисъ, ред. „Дროба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

რედაქცია წიგნები „დროების“ დიონს 5 კაპიტი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. დამატებით სტრიქონ-
ებისა ითვლება მათგან დაჭერის შემთხვევაში კაპი-
ტალზედ.

თუ საქართვება მოიხსოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკ-
ლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდად წერ-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ამ ნომერში ათი გვერდი

მკირე შენიშვნა

წლებადელი სათავად-აზნაურო არ-
ჩვენი ჩვეულებრივი არ ყოფილა: ზუ-
თხი ტყემლითურთ განძევებულ იქმნა;
ლხინი მხოლოდ არჩევის შემდეგ
გამართა. მღვდლის ჩვეულებრივ კენჭო-
სები, პირ იქით მიცემის სურვილს
ახადებდნენ. მონიერება გულწრფელო-
ბას შეუერთდა და მით დაინახნო,
რომ ძველი ბომონი, ახირებულთა
თავ საუარო დარღვეულა. შრუთა
ისმინეს, ენა ბრყილთა მკვერ-მეტყვე-
ლება დაიწყეს და აღინიშნა დრო მო-
მავლისა. რას მივაწეროთ?

შრუთად-ერთი, თავისთავად, იმერე-
ლი ცუდი ძვირად გვინახავს, მაგრამ
ერთი-მეორესთან, და გუნდ-გუნდად
გულ-წრფელი არ შეგვიჩინავს. მს
იყო რომ დღემდე საზოგადო საქმეს
ყოველთვის ჰლუბავდა! საკვირველია.
იციან რას იმერელს, ცალ-ცალკე
ორივე კარგია, ერთად-კი ორივე გა-
უტანლები! რომლის ბრალია? არც

ვიკტორ ჰიუგოს

გარდაცვალება და დასაფლავება

წერილი პარიზიდან

ივნისის 2-ი.

ვიკტორ ჰიუგო ვახდა ავად მაი-
სის 14-ს და 22-ს გარდაიცვალა.
ავადმყოფობის საბაბად ვაუხნდა ის
წვეულება, რომელიც მან გაუმარ-
თა აკადემიაში ახლად მიღებულს
წევრს გამოჩენილს ინჟინერს ლესეჟს.
მთელი დღე 83 წლის მოხუცებული
პოეტი მხიარულად იყო. მხოლოდ
სალამოს რაღაც უქეიფობა იგრძნო
და გავიდა თავის საწოლში. მს იყო
მისი უკანასკნელი ავადმყოფობა. შე-
ლანი მიხედნენ ამას და თითონაც კარ-
გადა გრძნობდა. მეორე დღეს მთელ-
მა საფრანგეთმა შეიტყო ეს ამბავი და
ბეჯითად დაუწყა თვალის დევნა
ავადმყოფობის მსვლელობას. ყოველ-
დღე გაზეთები დაწერილებით იძლეო-
დნენ ანგარიშს მის მდგომარეობაზე.
რაც კი რამ გამოჩენილია პარიზში: პო-
ლიტიკაში, ლიტერატურაში, თუ ხე-
ლოვნებაში, ყველანი მიეშურებოდნენ
მის სანახავედ. ის მისავალი, სადაც
ვიკტორ ჰიუგო იდგა (მისივე სახელი
ჰქვიან—Avenue Victor Hugo), მთე-
ლი დღე საესე იყო ხალხით, რომელ-

ერთის, —საზოგადო ნიადაგის: ერთს
მეორის ემინია, ერთმანეთის ნდობა
არა აქვსთ, იარაღს ფარად ხმარობენ.
მაგრამ დაუმტკიცე ერთს, რომ მეო-
რე მის საწინააღმდეგოდ არ მოქმე-
დობს და ისიც აღტაცებით დაადგება
სახეირო გზას. ამით აიხსნება წლე-
ვადელი საზოგადო აღტაცება და სი-
ხარული დი. შიფინის არჩევის გა-
მო: როდესაც საარჩევანო ყუთი გა-
სინჯეს და ნახეს, რომ არც ერთი
შავი არ იყო, იფიქრეს: თურმე შე-
გვძლებია ერთმანეთის გატანა! დას-
ძახეს და გაიერთეს სიხარული და ამ
სიხარულში მარტო თავად-აზნაურო-
ბას არ მიუღია მონაწილეობა—საერ-
თო შეიქმნა.

„არაბო! ეგ შენი ცხენი ვაზზე რად
გატისო?—და—ასეა ამის ჯიშო:
ჯერ კვიცია, გაიხედნება და მერე მაგ
შენ ბედაურებს ყველას უკან ჩამო-
ტოვებსო!“ ამისი არ იყოს, იმერეთის
მომავალი სათავად-სათავადოა... ნიკი
ნიქად შერჩება, შეცდომა ვასწორდებ
ბა...

რომდე ნიშნებით დამიკმაყოფილ-
დებით, რაც კეთილად ითესება, ის კე-
თილადვე მოიძვის... მკლის მთესველი

საც უნდოდა მისი ამბავი შეეტყო.
რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავარ-
მინისტრი დღეში რამდენჯერმე გზავ-
ნიდნენ კაცს პოეტის ამბის შესატყუო-
ბად.

რვა დღის ავადმყოფობის შემდეგ
ვიკტორ ჰიუგო გარდაიცვალა. ათურე-
ბელი ხალხი მიაწყდა მის სახლს; მი-
სავალში ტევა აღარ იყო. მთელის
საფრანგეთიდან და უცხო ქვეყნები-
დან უთვალავი ტელეგრამები დაიძრა
მწუხარების გამოსათქმელად. ღებუტა-
ტების პალატამ და სენატმა, რომ-
ლის წევრიც იყო ვიკტორ ჰიუგო,
დიდის მწუხარებით მიიღეს პოეტის სიკე-
დილის ამბავი და გარდაცვალებულის
ქება მოისმინეს თავიანთ თავმჯდო-
მარებისგან. მმართველობაც არ ჩამო-
რჩა ერს გატაცებაში და პარლამენტს
სთხოვა ვიკტორ ჰიუგოს საერო და-
მარხვა და ხარჯად 20,000 ფრ. პარ-
ლამენტმა დიდის აღტაცებით მიიღო
ეს წინადადება სამის კაცის წინააღმდეგ.
საერო დამარხვას არ დასჯერდნენ და
იმავე სხდომაზე დეპუტატებმა მოით-
ხოვეს ვიკტორ ჰიუგოს მსხვილ-
დასაფლავება. შინაგან საქმეთა მინი-
სტრის თხოვნით ეს წინადადება გა-
დადებული იქმნა შემდეგის სხდომის-
თვის, რადგან მმართველობას ვერ
გაებედა ამისთანა მძიმე საგნის გადა-
წყვეტა.

აქ საჭიროა მოვიხსენოთ პანთეო-
ნის ისტორია. ის არის დიდი და

პურს ვერ მომკის და ხორბლის მთე-
სეველს ნარი არ ამოუყვ. ჩვენ ოლონდ
გვეყოლონ კეთილის მთესველები და
მომავალზედ გულს არ გავიტყებთ.
„ოლონდ გვეყოლონ“ კარგი სიტყვაა!
მერე და რატომ ბევრი არა გვეყავს?
იმიტომ რომ ხელს გვიშლიან ფარი-
სეველები! — შრისტემ გვიმოძღვრა:
„უარ-ჰყავ თავი შენი... აღილე ჯვარი
და შემომიდგე მეო!“ და ზედაც კი-
დევ დაამატა: „შეიყვარე მოყვასი შე-
ნი, ვითარცა თავი თვისიო!“ როგორ
უნდა გავეგოთ! მს იმას კი არ ნიშ-
ნავს, რომ შენი თავიც და შენი მახ-
ლობელებიც გულიდან ამოილე და
შეიძულეო! არა ისიც გვიყვარდეს და
მათთან ერთად არა ნაკლებ სხვები-
ცაო... შარისეველები კი სულ სხვას
გაიძახიან...

შარისეველებს მანამდე აქვსთ ხალხ-
ში ნიადაგი, სანამ ერთობა და
თანხმობა არ ჩამოვარდება და მაშინ
კი კულს ამოიძუებენ ხოლმე!.. და
მადლობა ღმერთს! დღეს ცხადად
დაგვანახვა ღმერთმა, რომ დრო არის
ფარისეველებმაც კული ამოიძუონო!..

აკაპი.

შინაური ქრონიკა

მისის 27-ს, ბორში, სამი
აფიცური რამდენიმე საღდათით შუა-
ლამისას თავს-დასხმინან ერთს სახლს,
რომელშიაც სცხოვრობდა ყმაწვილი
კაცი პ. და მოუწოდომათ მისთვის
შეურაცხების მიყენება ვითომ იმისთ-
ვის, რომ ამ ყმაწვილს კაცს უკადრი-
სი წერილი მიეწეროს აფიცურების ნაც-
ნობ ქალებისათვის. შსაფუძვლო
ეჭვზედ დაუმიყარებიათ მათ ეს უკა-
ნონო საქციელი და მაშველად
მოუწოდებიათ თავიანთ ხელ-ქვეითნი,
რომელთ მოვალეობასაც სრულიად
სკანდალებში გარევა არ შეადგენს.
მრთი ამ აფიცურთაგანი ყოფილა
გამოჩენილი მ., რომელსაც ამას წი-
ნად გიმნაზიის მასწავლებელი შემოაკე-
და და თუმცა სასამართლომ ძატორ-
გაში გაგზავნა გადაუწყვიტა, მაგრამ
მასუკან განთავისუფლებულ იქმნა.

თუ ამ ამბისათვის პოლიციას ყუ-
რადლება არ მიეცემა, როგორც შე-
რებიან, დიდი უსიამოვნობა გამოვი-
დოდაო.

თბილისის სხვა-და-სხვა გასარ-

კარგი საბაბი იყო, რომ ეს საქმე
შეესრულებინათ.

თუმცა მმართველობამ მოინდომა
ამ საგნის გადადება კანონ-მდებლო-
ბის წესით გადაწყვეტამდე, მაგრამ
მეორე დღეს პარლამენტს აღარ დაე-
კითხა და თავისად, უბრალო დეკრე-
ტით, პანთეონი გამოაცხადა ეკლესიო-
ბისგან გაუქმებულად. პლერიკალებმა
პარლამენტში პასუხი მოსთხოვეს
მმართველობას ამ განკარგულების
გამო, მაგრამ მათი პროტესტი ძა-
ლიან სუსტი იყო; დიდმა უმრავლეს-
ობამ სიამოვნებით მიიღო მმართვე-
ლობის განაჩენი. ამ გვარივე უბრა-
ლო დეკრეტით გადასწყვიტა მმართვე-
ლობამ ვიკტორ ჰიუგოს პანთეონში
დამარხვა იქ, სადაც განისვენებენ მოლ-
ტერი და რუსო, სწორედ ამ უკანასკ-
ნელის გვერდით.

დეკრეტისამებრ პანთეონიდან გა-
მოიტანეს ყველა ის, რაც ეკლესიის
კუთვნილებას შეადგენს. მხოლოდ
ორის ჯვრისგან ერთი მოშალეს მარ-
ტო; მეორეს ხელი არ ახლეს, რად-
გან მისი ჩამოღება გუმბათიდან თა-
ვის სიდიდისა და სიმძიმისგამო მეტად
ძნელია. ამ ამბავმა, რასაკვირველია,
ძალიან გააჯავრა კლერიკალები და
სამღვდელოება. ისინი ჯავრობენ ჯერ
იმას, რომ ეკლესია წაართვეს, მეო-
რედ იმას, რომ იქ მარხავდნენ მათის
სარწმუნოების მტერს.

ვიკტორ ჰიუგო ისე დიდი კაცი იყო,

თობებს ერთი გასართობი კიდევ მოემატა. ღღეს, სამშამოს, მეროპის ბაღში, ჩამოსული ფიზიკოსი ღერინგი მართავს ნისლოვანს სურათებს (ТУМАННЫЯ КАРТИНЫ).

„დროების“ კორექცია

წინა-მხარე, მაისის 29-ს. ამ თვის 16-დამ დაწყებული თითქმის ყოველ საღამომოთ კარგი წვიმები მოდიოდა. სიციხით შეწუხებული და გადამხმარი მიწის მოსავალი გააგრილა. ბალახი მინდვრებზედ ხელ-ახლად მოვიდა, მაგრამ იმედი კი არ არის, რომ გასათიბი გახდეს და ამ ნაირად მოპოვონ საქონლის პატრონებმა ზამთრისათვის გამოსაკვები. ქანებსა და ქვებს ვერაფერი არგო წვიმებმა, პირ-იქით, როგორც ქირანხულის პატრონები ამბობენ, გულდაშეტად გადაქციაო; არგო ეწინააღმდეგება და ბოსტნეულს; იმედი აქეთ გამოცდილ გლეხებს, რომ გაზაფხულის მოსავალსაც (ფეტესა და სიმინდს) არგებს ეს წვიმები, თუ ბოლო ასე გაატანა.

ამ თვის „ძვეჯანის“ ერთ №-ში იყო დაბეჭდილი და „დროებაშიაც“ გადმობეჭდილი, რომ სოფელ მეჯინში ყვავილი კიდევ გაჩნდა. ამ ამბავს სასტიკი ყურადღება მიაქცია სიღნაღის მაზრის უფროსმა და საჩქაროდ მიანდო მაზრისავე ექიმს ადგილობრივად გასინჯვით გამოეშუქრავებინა ამბის სიმართლე ანუ სიმ-

რომ კათოლიკეები კი ცდილობდნენ მის სულის დაპატრონებას. როცა ის უკანასკნელს დღეებში იყო, პარიკის არქივისკოპოზმა ძარდინალმა მიბერტმა შემდეგი წერილი მისწერა ჰიუგოს რძალს, აწინდელს ლოკრუას ცოლს:

„მე ძალიან მხურვალე მონაწილეობას ვიღებ მიკტორ ჰიუგოს ტანჯვაში და მის სახლობის მწუხარებაში. ბევრი ვილოცე წმ. წირვის დროს გამოჩენილის ავადმყოფისთვის. მას რომ ჩვენის წმ. სარწმუნოების მსახურის ნახვის სურვილი ჰქონდეს, თუმცა მე თითონ ჯერ სუსტადა ვარ და კიდევ არ მოვრჩენილვარ ავადმყოფობისგან, რომელიც იმის ავადმყოფობას ძალიანა ჰგავს, მაინც სასიამოვნო ვალად ჩათვლიდი მასთან მოსვლას შემწეობის და ნუგეშის მოსატანად, რაიცა ძალიან საჭიროა მაგისთანა მკაცრს მდგომარეობაში.“

ამ წერილზე ლოკრუამ შემდეგი პასუხი მისწერა:

„ბნო პარიკის არქივისკოპოზო!
„მ. ლოკრუა, რომელსაც არ შეუძლიან თავის მამამთილის ბალიშს მოშორდეს, მე მთხოვს მადლობა გიძღვნათ თქვენ იმ გრძობებისთვის, რომელსაც მას უცხადებთ ეგეთის მოწყალეობით.
„მიკტორ ჰიუგოს შესახებ კი უნდა მოგახსენოთ, რომ იმან ამ დღეებში გამოაცხადა კიდევ:— არა მსურს ჩემის ავადმყოფობის დროს არა გვა-

ტყუნე. მაზრის ექიმმა ბ. სულხანოვმა პოლიციის ჩინოვნიკი რობიტოვი თურთ დიარა წინა-მხარი და მართლაც ს. მეჯინში აღმოაჩინა 13 ავადმყოფი ყვავილისაგან, რომელნიც სხვა-და-სხვა დროს გამხდარიყვნენ ავად; აგრეთვე ბევრი აუცრელნი აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელი გარემოებისათვის ექიმმა დასტოვა ს. მეჯინში ყვავილის ამცრელი, რომელსაც სასტიკად უბძანა, ყველას აუტრას.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა ვსთქვათ, რომ აწინდელმა სიღნაღის მაზრის უფროსმა გამოიჩინა თავის მაზრისადმი გულშემოტკივრობა მით, რომ, როდესაც რაიმე საზოგადო უბედურება ექადოდა სიღნაღის მაზრას, იგი ეწერგეულის თავ-გამოდებით ცდილობდა ეხმარა ღონის ძიებანი უბედურების ასაცილებლად, და ამით დამსახურა სიყვარული და პატივისცემა თავის მაზრისა. მაგ. წარსულ წლებში რამდენჯერმე ააცილა სიღნაღის მაზრას თავგამოდებული მეცადინეობით კალიისაგან აოხრება. შარშან ითქვა თუ არა გაზეთებში, რომ სიღნაღის მაზრაში ყვავილი გაჩნდა, მაშინვე მიაქცია მაზრის უფროსმა ყურადღება და დაანიშნინა მაზრაში ექიმები ფერწილებითურთ ყვავილის ასაცრელად. ამ ნაირად მან ყვავილით სიკვდილისაგან რამდენიმე ასი სული დაიხსნა.

რის სარწმუნოების, არა გვარის მღვდლის შემწეობაო. ჩვენ დავაშავებთ ჩვენის მოვალეობის წინაშე, თუ იმის ნებას პატივს არა ვცემთ.“

ასეთი საქვეყნო შეურაცხყოფა კათოლიკის სარწმუნოებისა გააბრაზებდა კათოლიკებს, მაშ რა იქნებოდა. ისინი ეხლა იმას იძახიან, რომ პანთეონითგან ღმერთი გამოაძევეს და სატანა შეიყვანესო.

კათოლიკების უკმაყოფილების გამო ბევრს ზომიერს რესპუბლიკელებსაც არ უნდოდათ პანთეონის დანიშნულების გადასხვაფერება. ისინი იძახიან; რომ კლერიკალების და სემღვდლოების მომღურებას ის ემჯობინებოდა, რომ მადლიერს სამშობლოს ახალი პანთეონი აეშენებინა დიდის კაცებისათვისაო.

მიკტორ ჰიუგოს საშინლად უყვარდა თავის პატარა შეილისშვილები და კარგი მემკვიდრეობაც დაუტოვა — ხუთი მილიონი ფრანკი. მან დასტოვა შემდეგი ანდერძი:

„მადლევ ღარიბებს 50,000 ფრ.
„მინდა მათის ბალდანიით წამიღონ სასაფლაოზე.
„შარს ყოფ ყოველ გვარს ეკლესიურს წესის აგებას. მითხოვ ლოცვას ყოველის სულისაგან. მრწამს ღმერთი.“
სიკვდილის დღიდანვე მმართველობა შეუდგა დამარხვის სამზადისებს. ბადაწყვიტეს მიკტორ ჰიუგოს გვამის გამოსვენება დამარხვის წინა-ღლით გ. მარკუზის გამარის ქვეშ მარსკლავის მე-

უცხოეთი

ინგლისი. აგერ იქნება ერთი კვირა, რაც „ჩრდილოეთ ტელეგრაფის“ სააგენტომ“ გადმოგვცა „ხმად გარეცხვებული“ ამბავი ავღანის ემირის აბდურაჰმანის მოკვლისა საკუთარის ამაღლისაგან. მასუკან ველით და დასაბუთებული ამბავი არა მოსულა რა. მხოლოდ ეხლა ინგლისური გაზეთებიც იწყებენ, რომ ავღანში ხალხი ძლიერ აღელვებულაო და ეს აღელვება უფრო იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამდურაჰმანმა ბევრი თავისნი ქვეშევრდომნი აწამა რაფულ-პინდი-დამ დაბრუნების შემდეგ, სადაც მან ნახა ინდოეთის ვიცე-კაროლი ლორდ ლეფერინო. ავღანის ემირის მოკვლა, თუ კი ეს მართალია, იქნება, შეესაბამებოდეს შემდეგ გარემოებას: ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლისის ჩავანებით სპარსეთის მმართველობამ დაატუსაღა თეირანში მიუბ-ხანი, რომელიც დიდის ხნიდამ ედავებოდა ტახტს აბდურაჰმან ხანს. უკანასკნელ შემთხვევათა გამო მიუბ-ხანი ხელდაედა მარჯვე დროს, რომ აჯანყება მოეხდინა ავღანში და ამ ქვეყნის ტახტი ხელთ-ეგდო. ეს გაუგეს მას და დაატუსაღეს. მხოლოდ რაკი საქმე მცირეოდან დაღადა და რუსეთიც იმ თავითვე წინააღმდეგი იყო მიუბ-ხანის დატუსაღებისა, შაჰის მმართველობამაც განათავისუფლა ავღანის ტახტის მადიებელი, იმ პირობით-კი, რომ იგი სპარსეთიდან

არ გასულიყო. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ შეუშლიდა მას საფუძვლად ეყენა ჰქონოდა ნახევრად-ველურს ავღანელებზე და იქნება იქამდინაც მიიყვანა ისინი, რომ მოაკვლევინა კიდევ მათი ემირი.

შუამავლობის საქმე ძლიერ გადასწყდა. ღანიის მეფეს მიანდეს მედიატორობა. თუმცა ინგლისი ინვერატორს მიღველმს სთხოვდა შუამავლობას, მაგრამ ავადმყოფობის გამო ამან ვერ იკისრა და ისევ ღანიის მეფეს მიმართეს ორთავ მოდავე სახელმწიფოთა.

ოსმალეთი. Times-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება, რომ ოსმალის პეტერბურგელ ელჩს გაეგზავნა ამ დღეებში შემდეგი ინსტრუქცია: სტატს-სეკრეტარ ზირისისაგან (რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი) გაიგოს მან ის პირობანი, რომელთა მოცემას შეიძლება რუსეთი, თუ რომ ოსმალეთისა და მის შორის კავშირი დაიდო. გაიგოს ის, რუსეთი მოიწადინებს თუ არა ოდესმე ოსმალის ტერიტორიის რომელიმე ნაწილის დასაკუთრებას და გამართავს თუ არა მოლაპარაკებას განსაკუთრებითის პირობის დასადებად მხოლოდ სტამბოლის შესახებ.

იტალია, ბარიბალდის დღეობის დროს რადიკალურ წრეებმა მანიფესტაცია მოახდინეს რომში. მთავრობამ მოახდინა ადრევე განკარგულება, რომ არეულობა არ გაზეთადებულიყო. პროცესიაში ერივნენ აგრეთვე მსაწინისა

გრძნობა. მეტი არ იქნება მოვიყვანო აქ აქაურის ქართველის სტუდენტების ტელეგრაფი: „მიკტორ ჰიუგოს მსოფლიო გენიით გაკვირვებული პარიკელი ქართველი სტუდენტობა მოწიწებით იხრის თავს დიდის კაცის საფლავის წინაშე და ეზიარება საერო მწუხარებას, რომელიც ეწვია საფრანგეთს.“

ღღე-ღღე-ღღე მუშაობის შემდეგ კვირას დღით, მაისის 31 გამარჯვების კამარის მორთვა და მის ქვეშ კატაფალკის აგება გაათავეს. დილის 6 საათზე მიკტორ ჰიუგოს გვამი გამოასვენეს თავის სახლითგან და გადიტანეს კამარის ქვეშ. იქ დარჩა მთელი დღე და ღამე. მთელი ეს დრო ის მეიღანი სავე იყო ხალხით. იქ რომ არ ეტეოდნენ, ყველა იმ ქუჩებში რომელიც კამარითგან აქეთ-იქით მიდიან, ტევა არ იყო ხალხისა. მით კამარას ცხენოსანი ჯარი ერთყა ხალხის შესაკავებლად. მეიღნის ფარნები, შავად შებურვილები, ანათებდნენ არემარეს.

მრწამათს თიბათვის 1, დღითვე ვარსკლავის მოედანი მოიფინა სხვადასხვა დეპუტაციებით. 11 საათზე დასძრეს მცხედარი. მთელს იმ გზაზე, რომელზედაც უნდა გაეარნათ, ქუჩების ორთავე მხარეს ხალხის შესაკავებლად დაყენებულები იყვნენ რესპუბლიკისა და პოლიციის მცველები. შავის ლეჩაქით შებურვილი ფარნები ანთებულნი იყვნენ. აუარებელი იყო



და საფრანგეთის წარმომადგენელნი ანტი-კლერიკალურისკონგრესისა. პროცესიამ მშვიდობით მიიღწია ძაბიტოლიამდის, მაგრამ აქ შეიქმნა არეულობა. მამოხნდა პოლიცია და ხალხს წაართვეს წითელი ბაირალები. ამ შემთხვევის გამო პალატაში წარდგინება მოხდებ.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 31-ს.

მადრიდი. ეს ცნობა, ვითომც მსჭდის ჯარებს დაუცლიათ კასალა, არა მტკიცდება.

მადრიდი. ვალები იქამ შემოტანა-ლი ხოლერა მადრიდში ჯერ არ გამოიკრებულა; გუშინ მარტო ორა მოკვდა ხოლერისაგან.

ინფისის 1-ს.

პეტერბურგი. საჯაროდ გამოაცხადეს საერო განათლების მინისტრისაგან 16 მაისს დამტკიცებულა წესები საიმპერატორის რუსეთის უნივერსიტეტების სტუდენტებისა და გარედგან მოსარეულეთათვის.

ვილნოს სამსწავლელო ინსტიტუტის ორა მოსწავლე, რომელნიც დათხოვნილ იქმნენ სასწავლელოდამ ცუდი უფუქვეყნისათვის, მოსულან ინსტიტუტის დაბრუნებას სადგურში, და ერთს მათგანს დაუკრავს დირექტორისათვის;

მაცურებელის ხალხის რიცხვი. სახლების სარკმელები და ბალკონები გაკვილილი იყო ხალხით. პატრონებმა ისარგებლეს და ძალიან ძვირად ჰყიდდენ ალაგებს სარკმელებითგან ან ბალკონებითგან საცქერლად. ძირის სართულის მალაზიები ამ შემთხვევისთვის ამფითვატრებად გადაქცეულიყვნენ, რაც ღიღს სარგებლობას მისცემდა პატრონებს. მამოხრენის მიმდევრებმა ქუჩები მოჰფინეს სკამებით, სტოლებით, კიბეებით და ორჩოფენებით. შაისის სიძვირეს ვინ დასდევდა, წუთში ფრანკს არ იშურებდენ, ოღონდ ერთი თვალი მოეკრათ კორტეჟისათვის სკამზე შედგომით, ან დაესვენათ. ბულვარებზე მდგარი ხეები აჩონჩხილნი იყვნენ ადამიანებთ, რომელთაგან ბევრმა კისერი მოიტეხა ძირს ჩამოვარდნით. წარმოდგინეთ, რომ ეს ხალხი ხუთის ვერსის სივრცეზე იყო გაჭიმული. მცხედრის კორტეჟიც ისე გრძელი იყო, რომ თავი რომ პანთეონთან მოვიდა, ბოლო ისევ მამარჯვების მოედანზე იდგა. კორტეჟს წინ მიუძღოდა ჯარი, ჯარს მისდევდა გვირგვინებით ათი მძიმეთ დატვირთული ეტლი, მას შემდეგ მცხედარი; მცხედარს მისდევდა სახლობა, მერმე მმართველობა, დეპუტატები, სენატორები, შემდეგ სკოლის ბატალიონი; ბოლოს დეპუტაციების დაუსრულებელი რიცხვი, საფრანგეთისა თუ უცხოეთისა. შველა დეპუტაციას თან მიჰქონდა გვირგვინი, ბევრი მათგანი მუზიკით და დრო-

დირექტორს დაუჭერია მისთვის ხელი, ამ დროს მეორეს გაუფხავნია დირექტორისათვის ხელები და სცემია ამის ცოლსა და დებსა. ხემწითე იმპერატორმა გადაუწყვიტა მათ დისციპლინალურ ბატალიონებში გაგზავნა, ზირველს ორის წლით, ხოლო მეორეს ერთის წლით.

ინფისის 2-ს.

პეტერბურგი. სახემწითე რჩევის დეპარტამენტების წევრებად და თავსმჯდომარედ 1885 წლის დამლევადეს ისევ შევლები იქნებიან.

გამოვიდა განკარგულება, რომ უნდა გამოცვენ სახემწითე საზინის მე 13 ხარისხის მცირე ვადიანი ვადებულების ქალაქები (обязательства) სულ 25 მილ. მან., ფასით თითო 500,1000 და 5000 მან. ექვსის თვის ვადით დაწყებული მაისის 15-დამ. თავნი უნდა დაბრუნდეს ნოემბრის 15-ს შემდეგ თავისის სარგებლით, რომელიც ანგარიშება 15-დამ.

სასახლის მინისტრი წავიდა გუშინ სახემწითე ცხენის მოშენების (коннозаводство) დაწესებულებათა დასათვალეებულად.

ამბოტენ, ვითომც სახემწითე ქონებათა მინისტრი ინფისის გასულს წავსამხრეთ გუბერნიებში და კავკასიაში სამსახურის საქმეთა გამოა.

გამოვიდა ნება-როგა, რომლის ძალითაც ამის იქით შეიძლება საბარგო მატარებლებით ატარონ ევრეთვე მოგ-

შით იყო. პანთეონის ეზო გაივსო გვირგვინებით, რომელნიც თვალს უჭირვებდენ კაცს თავიანთ სხვა-და-სხვა ფერით და სიმშვენიერით. 10,000-მდე გვირგვინი იყო და ყველანი ერთად მილიონზე მეტს ფასობდენ.

როცა მცხედარი მიასვენეს პანთეონში, რამდენიმე ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა. წარმოსთქვეს აგრეთვე სიტყვები ცხედარის დაძვრის დროს მამარჯვების კამარასთან. შველა ორატორი იმას ამბობდა, რომ შეუძლებელია რამე ქების შესხმა სიტყვით იმ დროს, როცა საქმე უფრო მჭევრ-მეტყველურად აღიღებს მიკტორ ჰიუგოსაო. მარტო სალამოს შეიღს საათზე შესწყდა კორტეჟი.

მიღებული რამ იყო ეს დღე. მწუხარებისა არაფერი არ ეტყობოდა. ხალხის სიცილს, ხუმრობას და მხიარულობას საზღვარი არა ჰქონდა. ბევრნი მტერზე გამარჯვებას დღესასწაულობდნ ხალხიო. ამის მიზეზი ალბად ჯერ ის უნდა ყოფილიყო, რომ მიკტორ ჰიუგო მოხუცებული მოკვდა. მისი სიკვდილი მოულოდნელი არ იყო, მისგან ბევრს აღაზას მოელოდენ. მეორეც ესა, რომ თერთმეტის დღის განმავლობაში ხალხი შეეჩია მის სიკვდილს, პირველს დღეებშივე გამოიგლოვა და მერე ეს მგლოვიარობა ქეთად გადაექა. ამას ხელი მოუწყო იმ სიბრწყინვალემ, რომელიც მის დამარხვას მისცეს. ცხედრის კორტეჟი, სულ

ზაურებიც; ამის შესახებ დადგენილი წესები გამოაცხადეს გადევ.

გამოსცეს ახალი წესები შესახებ ყვავილის აცრისა. იმ ქალაქებისათვის, სადა თვით-მმართველობაა, ეს წესები ვალდებულნი არ იქმნებიან.

პარშაპა. ქ. ლომში ცუცხელი წაეკიდა სხვა-და-სხვა სვაჯტრო შენობათა; ზარალი 200,000 მან.

ლონდონი. გაზ. „სტანდარდი“ ბეჯითად ამტკიცებს, რომ საღისბოურნი მიიღო წინადადება შესახებ ახალი გაბინეთის შედგენისა.

ბერლინი. ის ცნობა, ვითომც შეამსუბუქეს ზომანი შესახებ რუსეთის ქვეშევრდომ ხოლქელთა განდევნისა შრუსიის მოსამხდვრე შროვინციებიდამ, ოფიციალურად დაარღვიეს: არავითარი შესუბუქება არ შეიძლებაო.

რუსის ელჩმა გრაფმა შუგალოვმა დღეს მინათვა იმპერატორს ვალქელმს ბწყინვალე აუდენციის დროს თავისი რწმუნებითი გრამატები.

პრინცი ფრიდრიხ - კარლი დამბლა დაქვდა.

პარიში. გუშინ სუეის არხის თაბაზედ დანიშნულმა კომისიამ გაათავთავისი სსდომები.

რომი. სანიტარული კონფერენცია დაიხურა და ისევ შეიკრიბება ნოემბერში.

ბირჟა

შეტვარბურგი მაისის 31.

100 მანათის ეურსი სამის თვით ლონდონზე — 24 1/3, 24 1/2, 24 3/8 უკანასკნელი, 200,000 კაცისაგან შესდგებოდა. მათი რიცხვი-კი, ვინც ქუჩებიდგან და სარკმელებიდგან უცქეროდა, თუ ერთ-ნახევარი არა, ერთი მილიონი მაინც იქნებოდა.

როგორც ფრანკლები იძახიან, ამისთანა დიდებით ჯერ არა ვინ დამარხულა ქვეყნიერებაზეო. მიკტორ ჰიუგოს პოეტურს ნიქსა და მნიშვნელობას არავენ არა ჰყოფს უარს, მთელი ქვეყანა თანახმა, თუმცა შეიძლება ფრანკლები მეტის-მეტად აზვიადებდენ, როცა ამბობენ, რომ ქვეყნის გაჩენიდგან აქამდის მარტო ოთხი კაცი დაბადებულა ერთი ერთმანეთის ღირსიო: ჰომეროსი, ღანტე, შექსპირი და მიკტორ ჰიუგო. პოეტურის ნიქის გარდა საფრანგეთის რესპუბლიკელები პატრეს სცემენ მას, როგორც პოლიტიკის კაცს, რესპუბლიკისთვის მებრძოლს. მონარქისტები-კი იმას ამბობენ ამის წინააღმდეგ, რომ თავდაპირველად მიკტორ ჰიუგო მონარქისტი იყოო და სხვა-და-სხვა მეფეებს აქებდა და აღიღებდაო. ამასთან მას უკიჟინებენ მიმართულების ცვლილებას; დღეს რომ ბონაპარტისტი იყო, ხვალ, პოლიტიკურ რევოლიუციის შემდეგ, ბურბონელი ხდებოდაო, ზეგ ორლენანსტიო. მს ნამდვილია, რომ თავ-და-პირველად მონარქისტი იყო, ხოლო ნაპოლეონ III გამპერატორების შემდეგ ის გახდა მონარქისის მტერი და მას აქეთ დარჩა შეურყეველი რესპუბლიკელი.

100 მანათის ეურსი სამის თვით ჰამბურგზე	— 256 1/2, 257 1/2, 258 1/2
100 მან. ეურსი სამის თვით პარიზე	— 256 3/4, 257 1/2, 258 1/2
პოლიტიკური პაპები	— 8 მ. 12 კ. გაუ.
ტამოყნის კუპონები	— 8 მ. 11 კ. გაუ.
ვიცხლის მანათი	— 1 მ. 28 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 6 და 6 3/4%
5% ბილეტები სახემწითე ბანკისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 98 მ. 87 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 87 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— — — — —
მეოთხე გამოც.	— — 97 1/4 მ. გაუ.
მეხუთე გამოც.	— — 97 3/4 მ. გაუ.
5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მან.	— — — 95 მ. 12 კ. გაუ.
მეორე გამოც.	— — 94 3/4 მ. გაუ.
მესამე გამოც.	— — 95 მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები I შინაგანის სესხისა	— 222 1/2 მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები II შინაგანის სესხისა	— 209 1/4 მ. გაუ.
ოქროს რენჯა	— — 170 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამული ბანკის გირავნობ. ფურცლები	— — — 27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. 88 3/4 მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამული ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ.

ცნობანი

სამპურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სასსოკრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ვადამოთენი მიიღებიან დიდის 8 საათიდან 12 საათამდის.

უოკვლ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მოყოფებს შემდეგი ექიმები:


შქებენ აგრეთვე გულ-კეთილობას, მოწყალეობას და დაჩაგრულისა და დაურდომილის ხალხის მფარველობას. რასაკვირველია, ყველა ამ თვისებებს შეეძლოთ მისთვის თანაგრძნობა შეეძინათ, მხოლოდ გაუგებარი ეს არის, რომ იმ კაცს, რომელსაც 5,000,000 მემკვიდრეობა დარჩა, ნუ თუ 50,000 ფ. მეტი ვერ შეეძლო შეეწირა იმ ღარიბებისთვის, რომელნიც თავის სიცოცხლეში ასე ჰყვარებია?

შინტერესო არ იქნება შემდეგი ამბავი. მიკტორ ჰიუგოს პატივის-მცემელთა რიცხვში იმისთანა წრეებიც ამოჩნდენ, რომელთაც დრომის ფერად წითელი აქეთ მიღებულა. ახალი სამინიტრო სამინელის სიმკაცრით ეკიდება წითელს დრომებს და არსად აფრიალებინებს მათ. მაისის 24-ს ამ წითლის დრომის გამო კარგი შეტაკება მოხდა სასაფლაოზე პოლიციისა და ხალხის შორის, რომელშიც რამდენიმე დაიჭრა ორივე მხრით. მიკტორ ჰიუგოს ვასაცილებლად მოტანილი წითელი დრომებიც პოლიციამ მოიტაცა და დახია, მაგრამ ამ ამბავს, საბედნიეროდ, არეულობა არ გამოუწვევია. იქნება ამ არეულობის მოლოდინითაც აიხსნება ის, რომ ცხედარის უკან აუარებელი ჯარი მისდევდა, ვითომ და მიცვალებულის პატივ-საცემლად.

ტერ-გრიგორიანი—8 საათიდან 9 საათამდე... სანაბანი... მინკევიჩი... მარტინოვი...

ბანსხალეზანი

მვროსი ბალში



დღეს, ივნისის 4-ს 1885წ.

პირველ დღეს

ხელაგურ-ოპტიკურს წარმოადგინეს... მამართავს გამორჩენილი ფიზიკოსი

3. დერინგი... მოძრავ უდიდეს დაბუნდულს სურათებს უჩვენებს

სიღადით 15 არშინანებს.

დასაწყისი კონცერტისა: 7-ს საათზე; წარმოდგენისა 9 საათზე.

იმ დღეს, როდესაც ჩემი წარმოდგენები გაიმართება ევროპის ბალში მასკარადის ბალები არ იქნება

მისაც ჩემი აპარატების ნახვის სურვილი აქვთ — უფასოდ შეუძლიანთ ნახონ.

დაწერილებითი ცნობანი აფიშაში იქნება; ივნისის 7-ს მეორე წარმოდგენა იქნება. (3—3)

ნაოცარი ვეჭილი

ა. გ. ჭყონია


გადაუიდა სადგომად ბაზრის ქუჩაში, თამაშმევის სასლში № 11, სადგური № 13. (5—3)

უმკოლალი

ს. სიუ და კო.

(II. 2542). (46—16)

ინგლისური რკინის კრამტიანი



ერთის საწოლი 6 მანათიდან, და ორის საწოლი 10 მანათიდან; მათი ლეიბები, ზღვის ბაღსით გატანილი 4-დან 8 მანათამდე. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სავარჯიშო, საშაქრო, კოვჩები, შეფადის დასები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქსები, სუფოჯიგი, საწოლი, რეჟიმები, საქაშური, თეატრები, ბლიუბები, სასადათები, ტაშტები, საშაქროები, სამარადილები, გარბიცის საფეხუკები, პრეპის ამოხალები, პრეპები, კლიტები, გასაღებები, კრან-

ტები, ავირები, ხლისტები, ტანისმო-სის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთაები, წისკვილები, ხერხები, ქაბები, ინგლისის თათები და რეკლავები, პიუბი, წარიადები. კაზსიულები, საფანტები, ნიბები, ვატერპრუფი, საბები, ჩულები, წინდები, სუფრები, საღებავები, რეკლავი, კაღისანი ჭურჭელი. მურაბები, კამდეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბაღსი, დამკიტონები, ბომაჩი და სსკ. ინგლისურს მალაზიებში არწიურ-ნისეულს ქარვასაში. № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მადანია თბილისში. (100—28)

Advertisement for 'PEPTONOVYI' and 'SHOKOLAD' by A. LEMANA. Includes text: 'Приятного вкуса, полезен детям и взрослым, особенно малокровным...' and 'ШТОКМАНЬ И ЛЕМАНЬ. МОСКВА, ИЛЬИЧЕВЪ.'

ქუთაისის თავად-ანაურთ საადგილ-მამულა ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-17 § ძალით, ინიშნებიან საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად ხსენებულს ბანკში დავირა-ვებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღწერილთა პირთა, წესდებისა მეტრ ბანკის სახვედროთა გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

ბასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მებატრონენი იმავე წესდების მე 19 §-ისა მეტრ, შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებთა ხარჯებს.

43 1/2 წლიანი სესხი.

ქუთაისის გუბერნიისა.

ა) ქუთაისის მაზრისა.

გამრეკლავისა, იოანე გიორგის-ძის. კვაჭირის ავარს სახნავ-სათესი და ტყე, 86 ღესეტ. 1480 კვადრ. საყ.

დად. კრამისა, მარიამ სიმონის ასულის: სოფელსა ბაშს, სახნავ-სათესი და ტყე, 54 1/8 ღესეტ.

მისიკე, სოფელთა: ფარცხანაყანეს, ბაშს და იანეთს, სახნავ-სათესი, სათიბი და ტყე, 132 1/2 ღესეტ.

ქაჯაიასა, გიორგი ტარიელის-ძის: სოფელსა ჯავანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 ღესეტ. 800 კვადრ. საყ.

ლარტყაფაძისა, დავით ბეკოს-ძის: სოფ. ახალბედისოულს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 164 ღესეტ. 2280 კვადრ. საყ.

მაჭუტაძისა, სამსონ და ივანე ალექსანდრეს ძეთა: სოფ. ოფიშკითს სახნავ სათესი, 91 ღეს. 1390 კვადრ. საყ.

ნოვოსელისა, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძის: ტყაბულის ავარს სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი, ქვა-ნახშირის მადენით, 204 ღეს. 377 კვადრ. საყ.

სტურუასი, ნიკო ხოსიას-ძის: სოფ. კულაშს ეზო. სახნავ-სათესი და ტყე, 4 ღესეტ. 1510 კვადრ. საყ.

მემკვიდრეთა სელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას-ძის: ბანოჯის ავარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 ღეს. 360 კვადრ. საყ.

ჯაღასათა, ლუკა და იესე სიმონის-ძეთა: გუმბათის ავარში ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 8 ღესეტ. 1620 კვადრ. საყ.

კანდანიასა, ანნა ნიკოლოზის ასულის: სოფელთა ჭოგნარს, გოდო-განს და წინაველს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 26 ღეს 600 კვადრ. საყ.

მემკვიდრეთა მესხისა, სიმონ ივანეს ძისა: სოფელსა რიონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 ღეს. 750 კვადრ. საყ.

მემკვიდრეთა მესხისა, სიმონ სპირიდონის-ძისა: სოფ. რიონს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 25 ღესეტ.

ამდლოშვილისა, ივანე გიორგის-ძის: სოფ. გომს ეზო და სახნავ-სათესი, 28 ღესეტ. 2100 კვადრ. საყ.

ჯავაშვილისა, გიორგი თეიმურაზის-ძის: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 ღესეტ. 1931 კვადრ. საყ.

ჯავაშვილისა, სიმონ ბებეს-ძის: სოფ. ტყაჩირს, სახნავ-სათესი, 18 ღეს. 1800 კვადრ. საყ.

ჯავაშვილთა, ქაიხოსრო, კოსტანტინე და სიმონ ბებეს-ძეთა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 ღესეტ. 1800 კვადრ. საყ.

(იხილე მე-5 გვერდი)